ახალი ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი • 288 (15) 18 მაისი, 2015 წ

საკრებულოს სხდომაზე საჯარო მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ იმსჯელეს

უახლოეს მომავალში ხარაგაულში საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსი გამოცხადდება. ამის შესახებ გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, კახაბერ გოლუბიანმა 15 მაისს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ისაუბრა და დეპუტატებს საჯარო

მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები გააცნო. მისივე ინფორმაციით, საკვალიფიკაციო მოთხოვნები იგივე დარჩა რაც წინა კონკურსზე იყო. ცვლილება მხოლოდ აუდიტის სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზეა, რომელშიც აუცილებელ მოთხოვნად უმაღლესი განათლებაა მითითებული. ბატონმა კახამ აქვე დასძინა, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში 44 საშტატო ერთეულის დამატება მოხდა და სწორედ ამ შტატებზე უნდა დაინიშნოს კონკურსგავლილი კადრები.

საჯარო მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა. მისი თქმით, თუ საკრებულოს თანაშემწის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ვუთითებთ, რომ კანდიდატს ჰქონდეს უმაღლესი განათლება ან იყოს დამამთავრებელი კურსის სტუდენტი და ამავდროულად ვითხოვთ მუშაობის ერთწლიან გამოცდილებას, მართებული არაა, რადგან სტუდენტების უმრავლესობას მუშაობის გამოცდილება არ აქვს.

საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ეწინააღმდეგება დეპუტატი ჯამბულ გამცემლიძე და ამბობს: „რად გვინდა ისეთი საკრებულოს თავმჯდომარე, რომელსაც რჩევა-დარიგებებს მეოთხე კურსის სტუდენტი მისცემს“. ზოგი დეპუტატი ბატონ ჯამბულის პოზიციას იზიარებს, ზოგს კი მიაჩნია, რომ დამამთავრებელი კურსიის სტუდენტებს აუცილებელია, მიეცეთ შესაძლებლობა, კონკურსში ჩაერთონ და თავიანთი უნარ-ჩვევები გამოავლინონ.

მსჯელობის შედეგად დეპუტატები შეჯერდნენ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის საკვალიფიკაციო მოთხოვნები უცვლელი დარჩენილიყო და მხოლოდ სამუშაო გამოცდილებაში მითითებულიყო - სასურველია.

ამავე სხდომაზე გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსმა, ნანა კიკნაძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე, მატერიალური დახმარების გაცემის წესში ცვლილების შეტანის საკითხი წარმოადგინა. როგორც ქალბატონმა ნანამ განმარტა, „ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის მუხლში შეფასების კრიტერიუმი 40 000 ქულა იყო. მივიჩნიეთ, რომ ეს არ იყო ლოგიკური. მომავალში ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემა იმ ოჯახებზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო უკიდურეს გაჭირვებაში არიან. დახმარების გაცემის დროს დიდი ყურადღება გამგებლის წარმომადგენლის რეკომენდაციას მიექცევა“.

დეპუტატებმა წარმოდგენილ ცვლილებას მხარი დაუჭირეს. საკრებულოს ნევრებმა, ასევე თანხმობა მისცეს მუნიციპალიტეტის გამგებელს, გამარტივებული წესით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ღორეშის ადმინისტარიცული ერთეულის გზის სარეაბილიტაციო სამუშოების დასრულებაზე.

შეგახსენებთ, რომ უბისა - ღორეშის დამაკავშირებელი გზის 12 კმ-იანი მონაკვეთის შეკეთება თითქმის დამთავრებულია, მხოლოდ მცირედი სამუშაოებია შესასრულებელი.

ეკა შავიძე

საქართველოს კათალიკოს პატრიარქის კურთხევით წმ. ანდრია პირველწოდებულის მირონმდინარე ხატი რკინის ჯვარზე ყოველწლიურად დაბრძანდება



10 მაისს, საქართველოს კათალიკოს პატრიარქის კურთხევით წმინდა ანდრია პირველწოდებულის მირონმდინარი ხატი ხარაგაულში ჩამოაბრძანეს. სასწაულთმოქმედი ხატი დაწერიდან სხვდასხვა ეპარქიაში მოგზაურობდა, ხოლო 2003 წელს, როდესაც წმინდა მოციქულის ხატმა მირონდენა დაიწყო, პატრიარქის კურთხევით, იგი თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში დაბრძანდა. გავიდა წლები, ხატს მირონდენა არ შეუწყვეტია და არც ადგილი შეუცვლია. უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის კურთხევით, ხარაგაულის მკვიდრმა შოთა ხარატიშვილმა მიიღო კურთხევა, რომ 10 მაისს წმინდა მოციქულის ხატი ხარაგაულში ჩამოებრძანებინა. წმინდანის ხატმა ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველოში დაიდო ბინა. სადაც წმინდანის ხატის ჩამობრძანებას მრევლი დიდი სიხარულით ელოდა. ტაძარში აღევლინა საზეიმო პარაკლისი, ხოლო 11 მაისს ხატი მრევლმა რკინის ჯვარის მთაზე წააბრძანა, სადაც ორი დღე დაჰყო. 13 მაისს წმინდანის ხატი ისევ ხარაგაულის სამლოცველოში ჩამოაბრძანეს. ამავე დღეს მორწმუნეებმა ხარაგაულელ მრევლთან ერთად ხატი აწყურის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში გადააბრძანეს. ნეტარი მოციქულის მირონმდინარი ხატის მსვლელობას აწყურში ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი შეუერთდა და ამ ორი უდიდესი წმინდანის ღვთიური მადლით განფენილი სულები სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ ილია მეორემ კიდევ ერთხელ გაიხსენა და პარაკლისი აღუვლინა.

თეა გერიძე

დიდი სტუმრიანობა ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრში

12 მაისს, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრს დიდი სტუმრიანობა ჰქონდა. ხარაგაულში, თბილისის ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი, მამა შოთა (ბაბლიძე), მრევლთან ერთად ჩამოვიდა. მათთვის ნაჩვენები იქნა სპექტაკლი „თანმდევი სული“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე). მამა შოთა წარმოშობით ხარაგაულელია, აქ დაბადებული და გაზრდილი. „წლებია გვესმის ხარაგაულის კულტურული ცხოვრების შესახებ, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის მიღწევებზე ბევრი საუბრობს. დავინტერესდით და ჩამოვედით. წარუშლელი შთაბეჭდილებით ვბრუნდებით უკან. მადლობა ხარაგაულს, მთელ თეატრალურ დასს და ქალბატონ ირინეს ამ სასიამოვნო წუთებისთვის“ — აღნიშნეს ჩვენთან საუბარში მამა შოთამ. სპექტაკლმა მართლაც ოვაციების ფონზე ჩაიარა. დიდი ხნის განმავლობაში არ წყდებოდა აპლოდისმენტები და სამადლობელი სიტყვები.

თეა გერიძე

„ეს არ იყო მოსახლეობასთან შეხვედრა! ეს იყო მაჟორიტარი დეპუტატის, ნოდარ ებანოიძისა და საკრებულოს თავმჯდომარის, ინგა მაღრაძისგან კარგად დადგმული მინი აქცია“

11 მაისს ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, ნოდარ ებანოიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ინგა მაღრაძე და გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი გია ჭიპაშვილი, ეროვნული სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, მერაბ მაჭავარიანთან და ხარაგაულის სატყეო უბნის უფროს, ვლადიმერ მანჯავიძესთან ერთად წიფის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეხვდნენ. შეხვედრას ასევე ესწრებოდა გამგებლის წარმომადგენელი წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქალბატონი მაია გაჩეჩილაძე და წიფის მაჟორიტარი დეპუტატი ბესიკ ტალახაძე. შეხვედრას ორგანიზება სოფელ გოლათუბნის მკვიდრმა, დეპუტატმა გოგი ლაცაბიძემ გაუკეთა. მისი ინფორმაციით სოფელი არაერთი პრობლემის წინაშე დგას, მაგრამ მათ შორის უმთავრესი ხე-ტყეზე მიუნვდომლობა და უგზობაა. „მოსახლეობა ძალიან ცუდ დღეშია, კაცს ბოსტანი ვერ შემოუღობავს, სახლი ვერ აუშენებია და იატაკი ვერ დაუგია. სამასალე ხის მოჭრის უფლებას არავინ გვაძლევს. შეშის დამზადების უფლება იქამდე არ გვაქვს, ვიდრე არ დაზამთრდება და თავზე არ დაგვათოვს. თუ ამ კუთხით რაღაც არ შეიცვალა და მთავრობამ გარკვეული ზომები არ მიიღო, ეს ერთ-ერთი მიზეზი იქნება სოფლიდან ხალხის გადინების. ირგვლივ ამდენ წიფელას და თხმელას უყურებდე, ვერაფერში იყენებდე და ელემენტარულად, ეზოს შესაღობი მასალისთვის კაცი სოფლიდან თბილისში, ელიავას ბაზრობაზე მიდიოდე - ეს დაცინვაა სხვა თუ არაფერი“ - აღნიშნა შეხვედრაზე გოგი ლაცაბიძემ. ხე-ტყის პრობლემაზე ქალბატონმა ინგა მაღრაძემაც ისაუბრა. საკრებულოს თავმჯდომარე კონკრეტულად სოციალური ჭრების პროექტს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ პროექტი გაუმართავია და არ მუშაობს. ამას ადასტურებს სოფლის მოსახლეობაც. სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, მერაბ მაჭავარიანი, შეკრებილ მოსახლეობას სამომავლო გეგმებზე ესაუბრა და აღნიშნა, რომ სატყეო დეპარტამენტი მთავრობასთან შეთანხმებით დღედაღამ მუშაობს, რათა მოსახლეობას ხე-ტყეზე წვდომა დაუბრუნდეს. „სახელმწიფოს

მიზანი და დასახულ ამოცანათა შორის პრიორიტეტი, დღეს, სოფლის გაძლიერებაა. ამიტომ თქვენ არათუ უნდა გეშლებოდეთ ხელი ამ კუთხით, პირიქით ადვილად უნდა მიგიწვდებოდეთ. ეს ერთგვარად მცირე ბიზნესის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. უმთავრესი ერთია, ხე-ტყის ჭრა კანონის ფარგლებში უნდა მოხდეს. სხვაგვარად ეს პროცესი არ დარეგულირდება და იგივე განმეორდება, რაც იყო. ნებისმიერი ჭრა, სამასალე იქნება ეს თუ საშეშე ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მოხდეს. აქ იყო საუბარი რომ ფიცარი არ გაქვთ, ღობეს ვერ აკეთებთ და ა.შ. როგორც ვიცი, თქვენ პირველი კატეგორიის ჭრის უფლება უნდა გქონდეთ რაც მასალის დამზადებას გულისხმობს. რატომ ვერ სარგებლობთ ამით, რაშია საქმე?- ამ კონკრეტული კითხვით მერაბ მაჭავარიანთან ხარაგაულის სატყეოს უბნის უფროსს, ვლადიმერ მანჯავიძეს მიმართა.

ვლადიმერ მანჯავიძე - „სოფლებიდან ჩვენთან ნამდვილად მოვიდა სიები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადავაგზავნეთ გუბერნიაში, საიდანაც ისინი სატყეო დეპარტამენტში უნდა მოხვედრილიყო და სწორედ ამ უკანასკნელიდან უნდა მიგვეღო დასტური, რის საფუძველზეც სიებში მოხვედრილი ადამიანებისთვის პირველი კატეგორიის ჭრის უფლება უნდა გაგვეცა. სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი მიგვიღია და, შესაბამისად, პირველი კატეგორიის ჭრებზე უფლება ვერ გავეცით.“

მერაბ მაჭავარიანი - „ზუსტად ვიცი, რომ იმერეთის გუბერნიიდან სიები მივიღეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, ალბათ სქემიდან ამოვარდნა მოხდა. სისტემა დასახვეწია და ამაზე ვმუშაობთ. გპირდებით, მომავალში პირველი კატეგორიის ჭრაზე წვდომა აუცილებლად გექნებათ. გარდა ამისა, მინდა გითხრათ, რომ მიმდინარე წლის ზაფხულის თვეებიდან თქვენ უკვე გექნებათ საშუალება, დაამზადოთ საშეშე მასალა, რათა ზამთრამდე მოხდეს მათი გამოშრობა. ვეთანხმები საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ სოციალურმა ჭრებმა არ გაამართლა, ასევე არ მუშაობს ლიცენზიების გაცემის პრინციპიც. მიმდინარეობს მოლაპარაკებები საკოლმეურნეო ტყეების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის რომ შევქმნათ მოდელი, რომელიც არც მოსახლეობას მიაყენებს ზიანს და არც ტყეს“ - განაცხადა მერაბ მაჭავარიანმა.

აღნიშნულ პრობლემაზე მაჟორიტარმა დეპუტატმა ნოდარ ებანოიძემაც ისაუბრა და აღნიშნა „ზღაპრების მოსმენის დრო აღარაა, კონკრეტული ნაბიჯებია გადასადგმელი. ამ ხალხს შველა უნდა. მათ საშუალება უნდა ჰქონდეთ, რომ სახლის ასაშენებლად ტყიდან ქალაქში არ გაიქცნენ, შეშა სამ მეტრ თოვლში არ მოჭრან. ყველანი ხედავთ ალბათ, რომ სოფელში სამანქანო გზა თითქმის არ არსებობს. აქ საუბარი იყო ჯარიმებზე, რომელიც მოსახლეობას უკანონო სახერხების არსებობასთან დაკავშირებით აქვთ დაკისრებული. მე ვთხოვ ქალბატონ ინგას, მოაგროვოს სიები, რათა საკანონმდებლო ორგანოში შევიდე ინიციატივით, რომ მოხდეს ამ ჯარიმების ჩამოწერა. ადგილობრივმა თვითმმართველობამ

გაგრძელება ▶ 2 გვ.

„ᲔᲡ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ! ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲥᲝᲠᲘᲢᲐᲠᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ, ᲘᲜᲒᲐ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲘᲡᲒᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘ ᲐᲥᲪᲘᲐ“

◀ 1 ᲒᲒ.

ხალხს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. მართალია, გასული 2 წლის განმავლობაში ხარაგაულში მთელი რიგი პროექტები წარმატებით განხორციელდა და სამომავლო გეგმებშიც არაერთი ეფექტური და ხარაგაულისთვის მნიშვნელოვანი პროგრამაა გათვალისწინებული, მაგრამ ამით წიფის მოსახლეობას რა შეემატა? - არაფერი. ხარაგაულიდან წიფა არ ჩანს“.

ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობით უკმაყოფილო დეპუატატს რა აძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ წიფის მოსახლეობა უკმაყოფილოა, ცოტა გაურკვეველია. თავად არცერთ იქ მყოფ მოსახლეს არათუ უკმაყოფილება არ გამოუხატავს, საერთოდ არ გაუღიათ ხმა. მხოლოდ ჩემ გვერდით მდგომმა ერთ-ერთმა ქალბატონმა, ჩუმად ჩაილაპარაკა, „როგორ თუ წიფის მოსახლეობას არაფერი, რაც ხარაგაულში კეთდება, ის ჩვენი არაა? ჩვენ რა ხარაგაული არ ვართ“? ის კი არა და ბატონმა ნოდარმა პირდაპირ მიმართა მოსახლეობას, რატომ არ მთხოვთ პასუხს იმაზე წინასაარჩევნოდ რასაც დაგპირდით, ჯერჯერობით რომ ვერ განვახორციელეთო. მერე ცოტა აღელდა, საკრებულოს თავმჯდომარეს მოუხმო და მიმართა - „ქალბატონო ინგა, რა პასუხი გავცე ახლა ამ ხალხს, სოფელში გზა რომ არაა, წყალი რომ არ აქვთ და სხვა ბევრი პრობლემის წინაშე რომ დგანან, მარტო სოციალური პაკეტები რომ მუშაობს ხარაგაულში და სხვა არაფერი“ - უსაყვედურა ადგილობრივი თვითთმართველობის მესვეურთ ბატონმა ნოდარმა.

სიმართლე გითხრათ დავიბენი, ვერაფრით ავხსენი, რა ფორმატის შეხვედრა იყო. ქალბატონი ინგა მაღრაძის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მისი ინფორმაციით, თურმე, „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხების განაწილება მოსახლეობის ჩართულობით არ ხდებოდა და ხშირ შემთვევაში მზა პროექტები მიაწოდეს მოსახლეობას.

ერთი სიტყვით, მასალა რომ ცალმხრივი არ გამოსულიყო, ჩვენ კომენტარის გაკეთება წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელს, ქალბატონ მაია გაჩეჩილაძეს ვთხოვეთ.

„ეს არ იყო მოსახლეობასთან შეხვედრა, ეს ბატონი მაჟორიტარი დეპუტატისგან და ქალბატონი საკრებულოს თავმჯდომარისგან დადგმული მინი აქცია იყო, რითაც მათ მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანეს. ის 20-30 კაცი მოლითის ადმინისტრაციული ერთეულიდან ჰყავდათ ამოყვანილი. სად იყო იქ ოთხი სოფლის მოსახლეობა, მათ შეხვედრის შესახებ არაფერი იცოდნენ. ეს იყო კარგად დადგმული სპექტაკლი, ხომ ნახეთ, ვერცერთმა ხმა ვერ ან არ ამოიღო“.

- ქალბატონო მაია, ინგა მაღრაძემ შეხვედრაზე პირდაპირ აღნიშნა, რომ „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში ზოგიერთ შემთხვევაში, მოსახლეობას მზა პროექტები შესთავაზეს და თანხები მოსახლეობის ჩართულობით არ გადაანაწილეს. როგორ ფიქრობთ, რატომ მაინცადამაინც წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილ შეხვედრაზე ალაპარაკდა ამ თემაზე ქალბატონი ინგა ხმამაღლა?

- თუ მის მიერ გაკეთებული განცხადება წიფის ადმინისტრაციულ ერთეულს ეხებოდა, მაშინ, თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ მისი მხრიდან ეს იყო ღია ბრალდება. ხელთ მაქვს ყველა კრების ოქმი, რომელიც სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა და რომელთაც კრებაზე მოსული ყველა მოქალაქის ხელმოწერა თან ერთვის. თანხების გადანაწილება უშუალოდ მათთან შეთანხმებით მოხდა. როცა შეხვედრაზე მივედი ერთ-ერთი მოქალაქე პირდაპირ მოვიდა და აგრესიულად მომმართა „თქვენ აქ რა გინდათ, ვინ დაგპატიჟათო“. რაც იქ ხდებოდა, ამის დანახვას შეარაღებული თვალი არ უნდა, ყველაფერი ნათელი იყო. თითქმის სამი წელია, რაც ბატონი ნოდარი მაჟორიოტარი დეპუტატია და წიფის მოსახლეობა ახლა გაახსენდა? სად იყვნენ ამდენ ხანს. ხარაგაულში აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს, ეტაპობრივად აკეთებს ყველაფერს და ესენი მონიტორინგს ახორციელებენ, თუ რა მისია აკისრიათ, ვერ გავიგე? გასული 2 წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მთლიანად მოვაგვარეთ ორი სოფლისთვის სასმელი წყლის პრობლემა. ესენია ფონა და გუდათუბანი. წყლის სისტემა შევცვალეთ ასევე წიფის დაწყებითი სკოლის უბანშიც. არის უბნები, სადაც ჯერ კიდევ დგას ეს პრობლემა, მაგრამ ამასაც აუცილებლად მივაქცევთ ყურადღებას. ხოლო, როცა „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხით სარიტუალო სახლის მშენებლობა დასრულდება, რომელიც პირველ ჯერზე მოსახლეობამ თავად მოითხოვა, შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციასაც დავიწყებთ. ერთი მოსახლეც ვერ იტყვის, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სოციალურ პაკეტებზე წვდომა არ ჰქონდეს. აბა მითხარით, პირველ ეტაპზე წიფაში, ზვარეში ან თუნდაც ვახანში რომ მომხდარიყო რიგი პროექტების განხორციელება, აშენებულიყო საზოგადოებრივი ცენტრები, დაგებულიყო გზები, მოწყობილიყო საბავშვო ბაღები, მაშინ სად გაიქცეოდნენ? სადაც ყველა ეს აქტივობა შემდეგ ეტაპზე იქნებოდა გადაწეული? ეს რა პოლიტიკაა?

- შეხვედრაზე ერთ-ერთმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ მას წყლის მილების პრობლემა აქვს. მართალია, თქვენ იქვე განმარტეთ, რომ ეს პრობლემა უკვე მოგვარებულია, რასაც თავად პრობლემის ადრესატიც ადასტურებდა, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარე მაინც ამტკიცებდა - არაფერი არაა მოგვარებულიო. რას ითხოვდა კონკრეტულად ეს ქალბატონი, რასთან გვაქვს საქმე?

- აქ ძნელი მისახვედრი არაა რასთან გვაქვს საქმე. მე იქვე განვუმარტე საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ დალი გოგოლაძის პრობლემა უკვე გადაჭრილია. უბრალოდ, მას ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ ჰქონდა. ეს ქალბატონი ხშირად ითხოვს მილებს და ყოველთვის ვეხმარებით, ამ ეტაპზეც საკითხი გადაწყვეტილია, დეფექტური აქტი შედგენილია, ხარჯთაღრიცხვა გაკეთებულია და სულ რამდენიმე დღეში წყლის მილებს შვიძენთ და ადგილზე მივაწოდებთ. ამ შეხვედრაზე რატომ წამოჭრა ქალბატონმა დალიმ ეს პრობლემა, ჩემთვის გაუგებარია. მან იცოდა, რომ მილების შეძენის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეხვედრაზე იმყოფებოდა გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი, გია ჭიპაშვილი. ბატონი გია უშუალოდ ესწრებოდა „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში გამართულ ყველა კრებას. ამიტომ ქალბატონი ინგას განცხადებას სოფლის მოსახლეობისთვის მზა პროექტების მიწოდებასთან დაკავშირებით იგი შემდეგნაირად გამოეხმაურა. „დაგვისახელოს კონკრეტული ფაქტი, ეს არის სრული აბსურდი, საიდან მოუვიდა ეგ აზრი ჩემთვის გაუგებარია. ასე ზოგადად გაკეთებულ განცხადებებზე სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებ“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ბატონმა გიამ.

ჩვენ საკრებულოს თავმჯდომარეს, ქალბატონ ინგა მაღრაძეს დავუკავშირდით და ვთხოვეთ, დაესახელებინა კონკრეტული ფაქტი, თუ რომელ სოფლებში მოხდა „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში“ მზა პროექტების მიწოდება.

ინგა მაღრაძე: „ეს ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდა, მას შემდეგ, რაც იქ ე.წ. „სოფლის კრება“ მოაწყვეს, მე რამდენიმე იქაურ მოსახლეს გავესაუბრე და მათ დამიდასტურეს, რომ გადაწყვეტილება - გზებს გააკეთებდნენ, გარე განათებას თუ სხვა უფრო მნიშვნელოვან პროექტს, არავისთან შეთანხმებით არ მიუღიათ.“

- თუმცა, ქალბატონო ინგა, გეტყვით, რომ თავად გახლდით ამ შეკრებაზე და ვარ ერთ-ერთი თვითმხილველი, როგორ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და მოსახლეობამ გამოკვეთილი პრიორიტეტების დასაფინანსებლად.

- ჩემი აზრით, ბაზალეთში დაგეგმილი შეხვედრა არ იყო ისეთი ხასიათის, სადაც მოსახლეობის ჩართულობით, მათთან უშუალო მსჯელობით გამოიკვეთებოდა პრიორიტეტები და, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, დაიხარჯებოდა თანხები. „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში

თეა ბერიძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ „ᲩᲮᲔᲠᲘᲛᲔᲚᲐᲡ“ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲡᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲣᲓᲒᲐ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა 11 მაისს გამართულ სხდომაზე გარიგებულ თამაშებში მონაწილეობაში ეჭვმიტანილ თბილისის სტუ-ს პრეზიდენტ ოთარ შენგელიას, ხარაგაულის "ჩხერიმელას" ფეხბურთელებს თემურ სანიკიძეს და გიორგი გოდერიძეს, ასევე ყოფილ ფეხბურთელ დავით გენძეხაძეს, საფეხბურთო კლუბებს "ჩხერიმელასა" და სტუ-ს გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეუჩერა. იმ თამაშებში, რომლებშიც „ჩხერიმელა" და სტუ ჩაწყობაში არიან ეჭვმიტანილნი ორივე გუნდს ტექნიკური წაგება 0:3 ჩაუთვალა. აგრეთვე, სეზონის დასრულებამდე დარჩენილ მატჩებშიც აღმასკომის გადაწყვეტილებით მათ ანალოგიური ანგარიშით მარცხი ჩაეთვლებათ. აღმასკომმა დაადგინა, რომ დავით გენძეხაძე ქართულ ფეხბურთში პერსონა ნონ გრატად გამოცხადდეს. კერძოდ, მას საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ ნებისმიერი დონის მატჩის დროს სტადიონზე შესვლა აეკრძალა. თუ "ჩხერიმელას" ფეხბურთელები და ოთარ შენგელია სფფ-ის სპორტული სამართლიანობის ჯგუფთან ითანამშრომლებენ, მაშინ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენი, შესაძლოა, გადაიხედოს.

აღნიშნული ფაქტი კლუბ „ჩხერიმელას" დირექტორს ზურაბ გიორგიძეს და გუნდის ყველაზე დიდ გულშემატკივარს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარეს, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილს, რეაგირების გარეშე არ დაუტოვებიათ. შესაბამისი ზომები იმ დღესვე მიიღეს და ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. მათმა აქტიურობამ შედეგი ნამდვილად გამოიღო. არბიტრაჟმა სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო და გუნდ „ჩხერიმელას" უფლებამოსილება აღუდგინა.

„ჩემი ვალდებულება იყო, ხარაგაულელი გულშემატკივრების ინტერესები დამეცვა"-ამბობს ჩვენთან საუბარში ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი და აქვე დასძენს, რომ ეს არა მარტო ფეხბურთის თემა, არამედ ხარაგაულის ღირსების შელახვა იყო. მისივე თქმით „გადაწყვეტილება, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა გუნდ „ჩხერიმელასთან" დაკავშირებით მიიღო, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ზვიად სიჭინავას პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობდა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტს ასე არ დავტოვებდით და ჩვენი რაიონის ინტერესებს დავიცავდით. ფაქტობრივად, შიმშილის დაწყებას ვაპირებდი, თუ ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ არ გადაწყდებოდა. საბედნიეროდ, გასაჩივრებამ შედეგი გამოიღო და ყველაფერი დადებითად გადაწყდა. კლუბ „ჩხერიმელას" უფლებამოსილება აღუდგა და იგი კვლავ წარმატებით გააგრძელებს საქმიანობას. ხარაგაული პირველი აღმოჩნდა, ვინც ამ უსამართლობის წინააღმდეგ ხმა ამოიღო და, ვფიქრობ, ეს დიდი წარმატებაა. მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც მორალური მხარდაჭერა გამოგვიცხადა. მინდა, მივულოცო მათ ეს დიდი გამარჯვება, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებიც „ჩხერიმელას" უფლებამოსილების შეწყვეტით გახარებულები იყვნენ, სამძიმარი გამოვუცხადო. რაც შეეხება გარიგებულ თამაშებში მონაწილე ეჭვმიტანილ ფეხბურთელებს, ამ ეტაპზე გირაოს სახით არიან განთავისუფლებულები და გამოძიება მიმდინარეობს. ისინი საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები იყვნენ, სამწუხაროა, რომ ასეთ სკანდალში გაეხვნენ."

P.S. ვულოცავთ საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელას" უფლებამოსილების აღდგენას და მომავალში დიდ წარმატებებს ვუსურვებთ.

ეკა შავიძე

ᲡᲐᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲝ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡ ᲑᲔᲡᲘᲙ ᲑᲝᲒᲕᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ

8 მაისს ხარაგაულის საბიბლიოთეკო კვირეულის პროგრამის ფარგლებში შ.ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში, ფსიქოლოგიის განვითარების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელ, ფსიქოანალიტიკოს ბესიკ ბოგველთან შეხვედრა მოეწყო. შეხვედრას მასწავლებლები, სკოლის მოსწავლეები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე სტუმრად იმყოფებოდნენ ასევე ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე, რიტა წაქაძე, ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის კატალოგიზაციის განყოფილების გამგე, ეკატერინე ბარაბაძე, №13 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე, პოეტი ბელა უჩაძე, ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის უფროსი სპეციალისტი, ნატო ასათიანი. შეხვედრაზე ბესიკ ბოგველმა ყველასათვის საინტერესო თემაზე-" ბავშვი, ოჯახი და სახელმწიფო" ისაუბრა. ბატონმა ბესიკმა განსაკუთრებული ყურადღება ბავშვთა ფსიქოლოგიასა და სკოლაში მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას დაუთმო. ფსიქოანალიტიკოსის ინფორმაციით, შვილის სწორად აღზრდისათვის მშობლებმა პირველივე დღეებიდან უნდა იზრუნონ და ასაკის შესაბამისად უნდა იმოქმედონ. ბესიკ ბოგველმა დამსწრე პიროვნებების მიერ დასმულ შეკითხვებსაც უპასუხა და მათ პროფესიული რჩევა-დარიგებებიც მისცა. ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ნიკოლოზ მაჭავარიანმა, განაცხადა, რომ მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება. მისი ინფორმაციით, რამდენიმე თვეში დასრულდება ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი შენობის რეაბილიტაცია და შეხვედრები უკვე თანამედროვე მოთხოვნების შესატყვის ბიბლიოთეკის შენობაში ჩატარდება.

ეკა შავიძე

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ“ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ

11 მაისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტის „ცოცხალი წიგნების" ფარგლებში თანამედროვე ქართველი მწერლების 5 კაციანი მობილური ჯგუფი ხარაგაულს ესტუმრა. „ცოცხალი წიგნები" საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტია და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სოფლებისა და ქალაქების საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, კულტურის სახლებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში თანამედროვე მწერლების სტუმრობას და მკითხველთან შეხვედრას გულისხმობს.

შეხვედრა საინტერესოდ მიმდინარეობდა. თანამედროვე ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა: ნანა ქარდავამ, მაკა ლდოკონენიმ, დათო რობაქიძემ, გივი ჩიღვინაძემ და ედუარდ უგულავამ საკუთარი ნაწარმოებებიდან ფრაგმენტები წარმოადგინეს.

ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე პაატა გოგოლაძე, ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ქალბატონმა ირინემ, ღონისძიებაზე გივი გოგოლაძის ლექსი „ჩემი ხარაგაული" წაიკითხა. დამსწრე საზოგადოების წინაშე ლექსებით წარსდგნენ ასევე N2 საჯარო სკოლის დირექტორი ვალერი გოგნაძე და კომპანია „პოზიტივ თრეველის" დამაარსებელი სტუდენტი გოგა შავიძე.

დასასრულს ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ნიკოლოზ მაჭავარიანმა, მადლობა გადაუხადა სტუმრებს და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში მსგავსი სახის შეხვედრები ბიბლიოთეკის ახალ შენობაში არაერთხელ გაიმართება. მწერალთა ჯგუფმა ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკას საჩუქრად თავიანთი წიგნები გადასცა.

პროექტი „ცოცხალი წიგნები" ოთხ ეტაპად ხორციელდება და წლის განმავლობაში, მასში 75 მწერალი მიიღებს მონაწილეობას. რეგიონებში ვიზიტის პერიოდში, მწერლები აკეთებენ გარკვეულ ჩანაწერებს, რომლის მიხედვითაც, პროექტის დასრულების შემდეგ გამოიცემა წიგნი „მწერლის დღიურები".

ეკა შავიძე

„თამარს ვაქებდეთ მეფესა...“

ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს მამულს, დედასაქართველოს, უფლის მადლით მოევლინა ნიჭითა და გონიერებით, ვაჟკაცური სიმამაცითა და შეუპოვრობით დაჯილდოებული ქალი – თამარ მეფე.

ვახსენებთ ამ მზისადარ სახელს და ცნობიერებაში წარმოისახება კულტურით, ეკონომიკით და სამხედრო ძლიერებით გაბრწყინებული საქართველო. ქართული და მსოფლიო პოეზიის შედევრი „ვეფხისტყაოსანი“ და ამავდროულად გვესახება რწმენა, რომ ძველი დიდება კვლავ დაბრუნდება, უფალი არ მიატოვებს მრავალტანჯულ ერს და კვლავ გაბრწყინდება ივერია... ამ იმედის ჭეშმარიტი ქვაკუთხედი და მტკიცე ბალავარია ჩვენი მომავალი თაობა, ჩვენი მოსწავლე–ახალგაზრდობა...

და თუ როგორაა აღქმულ–შესისხლხორცებული ჩვენს მოსწავლეებში წარსულ დღეთა კვალი, ეს მთელი სისავსით გამოჩნდა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ხარაგაულის სასულიერო გიმნაზიის მესამეკლასელთა მიერ 14 მაისს, „თამარობაზე,“ წარმოდგენილი ლიტერატურულ–მუსიკალური კომპოზიციით „თამარს ვაქებდეთ მეფესა“ (კლასის დამრიგებელი ლემა ბერაძე).

ვუყურებდი ამ თვალებხატულა გოგო–ბიჭებს და გულში იმედიანად ვფიქრობდი – „წარსულ ნერგზე ახალი ნამყენი“ ნამდვილად შეხორცებულია. ამ წმინდა კედლების ოსტატ–შეგირდები უეჭველად ქმნიან მზიან ამინდს ქვეყნის სამომავლოდ, ქვეყნის სასიკეთოდ.

მასწავლებლის გარჯა- რუდუნებას ყოველთვის მოსდევს შესატყვისი შედეგი. ასე იყო იმ წუთებშიც. ამ უმშვენიერესი შეკრების ყოველი მონაწილე ავლენდა მათზე გახარჯული თითოეული წუთის ფასს.

დიდი თამარისადმი მიძღვნილი ქართული სახოტბო პოეზიის ყოველი სტრიქონი წარმოითქმოდა შესატყვისი ემოციით, გაჯერებული ქართული სიტყვის ღვთიური მადლით...

ამაღელვებელი ეპიზოდები სცენურად გარდაისახა ლადო ასათიანის „ბასიანის ბრძოლიდან“

... იღება კარი და შემოდის რუქნადინის ელჩი (მაჰმადიანის შესატყვისი სამოსით-შოთა აბაშიძე), რომელიც თავხედურად აუწყებს თამარს „ბილწსიტყვა პატრონის“ შემონათვალს... და პასუხიც საკადრისი მიიღო თამარის ერთგულ ზაქარია მხარგრძელისაგან (ნიკოლოზ მეიფარიანი). ელჩს ხომ თან გაჰყვა ლოყაზე დამღა – მხარგრძელის კელაპტრის სიმსხო თითები...

მოსწავლეებმა ერთხელ კიდევ გამოხატეს მადლიერება სულიერების ერთგული მსახურის, პედაგოგ ზეინაბ ბუაჩიძის მიმართ და შესატყვისი გარდასახვით წარმოთქვეს სტრიქონები მისი საკუთარი ლექსისა „მობრძანდება ჩემი წმიდა თამარი.“

„რა ნარმტაცად შეფერილა მთა–ბარი,
მზის სხივების ალერსს აულანძია,
მობრძანდება ჩემი წმიდა თამარი,
ღვთისმშობლის ხატს მიასვენებს ვარძიას.”

ნებისმიერ დიდ სცენას დაამშვენებს დეკლამაციის არაჩვეულებრივი უნარით დაჯილდოებული გოგონა, თეონა ჭიპაშვილი. მაყურებელი იმჯერად ნამდვილად დაატყვევა თეონამ უმშვენიერესი ლექსით „მახარობელი.“

სიამაყით აღნიშნავდნენ მოსწავლეები, რომ დიდი თამარის ღვაწლის მონაწილეა ჩვენი რაიონის მიწა: ხარაგაულის ვარძია, დედაღვთისას სახელზე აგებული მისი ეკლესია, უბისა. განა ამ ძირძველი მიწის ღვთისაგან ბოძებულმა სიმდიდრემ არ განსაზღვრა, რომ თამარი სამკურნალოდ თურმე ნუნისის წყალს იყენებდა...

დიდი თამარის სათაყვანებელი სამშობლოს შვილებს გააზრებული აქვთ თავიანთი სამომავლო მისია.

აი, ანთებული ბრიალა თავლებით დაპირებას გვაძლევს ნიკოლოზ მეიფარიანი-როცა სწავლის გასაგრძელებლად ოქსფორდის უნივერსიტეტს ეწვევა, პროფესორ-აკადემიკოსებს თავის მამულიშვილობას, თავის ქართველობას, ემიგრანტი პოეტის, ნანა მეფარიშვილის, ლოცვის შესადარი ექვსსტროფიანი ლექსით გააცნობს. მაგრამ მისი მშობლიური ქართული ენა იქ ყველა გამომცდელს ხომ არ ეცოდინება? ამიტომ თვითონვე უთარგმნის მათ ინგლისურ ენაზე:

„მე საკაძის სამშობლოდან ვარ,
თამარის სისხლი გადამდის გულზე,
სადაც სიმღერით ომებს იგებენ
და რწმენას არვინ არ ჰყიდის ფულზე...”

(„მინდა, გაგეცნოთ!“)

ყველას იმედი, ოცნება საოცარი სხივმოსილებით ანდერძად ჩამოყალიბებულა პოეტის უმშვენიერეს სტრიქონებში, რომელსაც თითქოს მართლაც თვით თამარ მეფე (თამარ ჭიპაშვილი) უბარებდა შთამომავლობას:

„ამაზე დიდი რა გინდა ჯილდო,
სამოთხეს შენთვის ღია აქვს კარი,
შენ უნდა მისი უღელი ზიდო,
ის არ დაუთმო არავის ნამით!”

ჩვეული სიყვარულით მიეფერა მოსწავლეებს, მათ მშობლებს, ამ ლამაზი ღონისძიების თაოსანს, ქალბატონ ლემა ბერაძეს, გიმნაზიის ღვაწლმოსილი პედაგოგი ნელი შარიქაძე.

პოეტური სტრიქონები შთამბეჭდავად ერწყმოდა მესამეკლასელთა წკრიალა ხმებით შესრულებულ „თამარ მეფის ტროპარს“, საგალობელს „ქრისტე აღსდგა“ (მასწავლებელი თორნიკე ბაკურაძე).

ფანდურის თანხლებით (მშობელი თეა მაღლაფერიძე) პატრიოტული გზნებით ანთებული მელოდიები საამოდ ეფინებოდა დარბაზს...

ლემა მასწავლებელმა ხაზი გაუსვა იმ დიდ ინტერესს, რასაც მისი მოსწავლეები იჩენენ სწავლისა და ნებისმიერი სასკოლო ღონისძიების მიმართ. მადლობა გადაუხადა მშობლებს მისი ჩანაფიქრის მხარდაჭერისათვის.

მესამეკლასელთა მიერ წარმოდგენილ ამ ლამაზ კომპოზიციაში ძნელია, ობიექტურად შეაფასო, ვინ ვის სჯობდა... და ანთებდნენ ლექსისა და საგმირო სიმღერების კოცონს: ელენე, შოთა, ნათია, მარიამი (ორი), ნიკოლოზი (ოთხი), სანდრო, ზურაბი, დავითი, ლუკა, თეონა, თამარი, საბა.

ჭერი ახადა „მრავალჟამიერმა.“ მწამს, მრავალჟამიერ იცოცხლებს ერი, რომელსაც წინ უძღვის თამარის მადლი, რომელსაც ეზრდება იმედიანი თაობა...

მერი გიორგიძე

„მოყვასისათვის შეწირულები“ დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრში გაიმართება

22 მაისს ლიტერატურული სპექტაკლი „მოყვასისათვის შეწირულები“, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში გაიმართება. სპექტაკლი დიდებულ ადამიანებს: მიხეილ თამარაშვილს, გრიგოლ ფერაძეს, მამა ილია კარტოზიასა და იოსებ ჟორდანიას ეძღვნება. „მოყვასისათვის შეწირულები“ ნაჩვენები იქნება დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრში.

პირველკლასელთა საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია 15 მაისს დაიწყო

პირველკლასელთა საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია 15 მაისს დაიწყო და 9 ივნისის ჩათვლით გასტანს.

სარეგისტრაციო ფანჯარა 09:00 საათზე გაიხსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (www.mes.gov.ge) და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (www.emis.ge) ვებგვერდებზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 2015 წლის 11 ივნისიდან 21 ივნისის ჩათვლით. რეგისტრაციას გაივლიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა ასაკი შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შეგახსენებთ, რომ ბავშვის რეგისტრაციისას, ერთი და იგივე ბავშვის რამდენიმე პირის მიერ პარალელურ რეჟიმში დარეგისტრირების მცდელობა გამოიწვევს ტექნიკურ შეფერხებას.

ვერტყვიჭალის სკოლაში „ცოდნის კვირეული“ წარმატებით განხორციელდა

11 მაისიდან 16 მაისის ჩათვლით სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში „ცოდნის კვირეული“ მოეწყო, კირეულის ფარგლებში ჩატარდა ღია გაკვეთილები, მოეწყო მოსწავლეთა მიერ ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, სპორტული შეჯიბრი, ინტელექტუალური თამაში ,,რა, სად, როდის?" 14 მაისს სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლას ვესტუმრეთ. დავესწარით ღია გაკვეთილს მათემატიკაში და ვიხილეთ მუსიკალური კომპოზიცია, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებზე შექმნილი ლექსებით, სიმღერებით, ტრადიციებით, სახალისო ისტორიებით იყო გაჯერებული. ერთთავად თვალწარმტაცი იყო სცენაზე ყველა კუთხისთვის სახასიათო ტანსაცმელში გამოწყობილი გოგო-ბიჭების იმერული, კახური, გურული, ქართლულ, რაჭული შეთამაშება. კომპოზიციაში ნათლად იყო წარმოდგენილი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს საქართველოს ყველა კუთხე, ყველა ნაწილი.

ღონისძიების დასასრულს ვერტყვიჭალის საჯრო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ლენა აბაშიძემ სკოლის წარჩინებული მოსაწავლეები და პედაგოგები პირველი ხარისხის სიგელებით დააჯილდოვა. ჩვენ ქალბატონ ლენას გავესაუბრეთ და ვთხოვეთ, „ცოდნის კვირეულზე“, მის მიზანსა და არსზე უფრო კონკრეტულად მოეთხრო.

„ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში უკვე წლებია ტრადიციაა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ჩავატაროთ „ცოდნის კვირეული“, რომლის მიზანია, შემაჯამებელი ანგარიში გაუკეთოს წლის განმავლობაში პედაგოგებისა და მოსწავლეების მიერ გაწეულ სამუშაოს. მთელი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებათა მიმდინარეობდა. ჩვენი მხრიდან ეს საკმაოდ გაბედული ნაბიჯია, ვიწვევთ სტუმრებს მეზობელი სოფლების სკოლებიდან,ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან. ტარდება ღია გაკვეთილები, სადაც მოწვეული სტუმრები თავიანთ კომენტარებს აფიქსირებენ, რომელიც შემდგომში მასწავლებლებს გარე შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად გამოადგებათ. საკმაოდ საინტერესო დღეებია. ყველა კმაყოფილია, ბავშვებიც, პედაგოგებიც, მოწვეული სტუმრებიც. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც უშუალოდ მონაწილეობა მიიღო „ცოდნის კვირეულში“ და წვლილი შეიტანა ამ დღეების გალამაზებაში“.

- ქალბატონი ლენა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ვერტყვიჭალის სკოლის ბაზაზე „დღის ცენტრის“ მოწყობასთან დაკავშირებით. არის თუ არა თქვენი სკოლა ამისთვის მზად?

- როცა განათლების სამინისტროდან დადგა მოთხოვნა სკოლების ბაზაზე „დღის ცენტრების“ გახსნასთან დაკავშირებით, მაშინვე დავიწყე ამაზე ფიქრი და ზრუნვა. მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენს სკოლას ამის ბაზა ნამდვილად აქვს. პირველ რიგში, შევუთანხმდი მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს, ხარაგაულის საგანამანათლებლო რესურსცენტრის უფროსს დავით კიკნაძეს, საკითხი გავიარე საკრებულოს თავმჯდომარე, ქალბატონ ინგა მაღრაძესთანაც და ისინი მზად არიან, მხარი დამიჭირონ. ვერტყვიჭალის სკოლაში გახსნილი „დღის ცენტრი“ მთლიანად მოემსახურება ტრასის მიმდებარე სოფლების ბავშვებსაც. ჩვენ გვყავს სპეცმასწავლებელი, რომელიც ინკლუზიური სწავლების შემოღების შემდგომ გადავამზადეთ. სკოლაში გვყავდა, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების, ისე განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები. გვაქვს რესურსოთახი. არის სპეციალური ინდივიდუალური გასასვლელი. ყველა პირობაა შექმნილი, რომ ვერტყვიჭალის სკოლაში „დღის ცენტრი“ ფუნქციონირებდეს. ჩვენ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ყველა კონკურსში და შემოქმედებით კონფერენციებში ვიღებთ მონაწილეობას. შევინარჩუნო წარმატებული სკოლის სტატუსი, ესაა ჩემი მთავარი მიზანი და ამ გაბედული ნაბიჯის გადადგმაც პედაგოგების ერთიანობამ, მათმა შრომისადმი კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ და ენთუზიაზმა გადამაწყვეტინა“.

თეა ბერიძე

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო პროექტ „საქართველოს მოხალისეს“ ახორციელებს

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო პროექტ „საქართველოს მოხალისეს“ ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში საქართველოს 10 რეგიონში 10 ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია შეირჩა, რომლებიც შერჩეულ მოხალისეთა კოორდინირებას ადგილობრივ დონეზე ახორციელებდნენ. საქართველოს 67 მუნიციპალიტეტში კონკურისის საფუძველზე 134 მოტივირებული მოხალისე (2 მოხალისე მუნიციპალიტეტიდან) შეირჩა. მოხალისეებს 6-იდან 10 მაისის ჩათვლით დაბა ბაკურიანში ტრენინგ – სემინარები „საქართველოს მოხალისეთა ფორუმი“ ჩაუტარდათ. ტრენინგებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ შერჩეული, შესაბამისი გამოცდილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდის“ ტრენერები ატარებდნენ.

პროგრამის მიზანი მოხალისეთა ინსტიტუტის გაძლიერება, საქართველოს მასშტაბით მოხალისეთა ერთიანი ქსელის განვითარება; ახალგაზრდებში მოხალისეობის გზით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება; ქვეყნის მასშტაბით მოხალისეობით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობის გაზრდა, მოხალისეობის შესახებ დამკვიდრებული მცდარი სტერეოტიპების დანგრევა. საზოგადოების საკეთილდღეოდ საკუთარი ნების საფუძველზე უანგარო შრომის პოპულარიზაცია; მოხალისეთა მიერ გაწეული შრომის წახალისება და პოპულარიზაციაა.

მოხალისეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებაში, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფუნდამენტია ღია დემოკრატიული და სოლიდური საზოგადოების მნიშვნელობისათვის. მოხალისეობის მხარდაჭერა ხელს უწყობს ახალგაზრდებს, საკუთარი თავისუფალი დროის, ცოდნისა და უნარების გამოყენებით, თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებაში.

პროექტ „საქართველოს მოხალისეს“ იმერეთის რეგიონში კოორდინირებას არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი უწევდა. მათ „საქართველოს მოხალისის“ კოორდინატორებად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან, ბაზალეთის სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი, თამარ კამკამიძე და გაზეთ „ახალი ხარაგაულის“ ჟურნალისტი თამარ მაღრაძე აირჩიეს.

ქუთაისის განათლებისა და დასაქმების ცენტრის პროგრამების დირექტორის, ნათია ნამიჭეიშვილს ინფორმაციით, „მოხალისეთა შერჩევა ორ ეტაპად მოხდა. პირველ ეტაპზე პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა ელექტრონულად შეავსეს განაცხადი. შემდეგ მოხდა ამ განაცხადების გადარჩევა. მეორე ეტაპზე იყო გასაუბრება. იმერეთის რეგიონიდან 125 განაცხადი შემოვიდა, მათ შორის ხარაგაულიდან – 18. როგორც პროგრამა ითვალისწინებდა, თითო მუნიციპალიტეტიდან 2 მოხალისე შეირჩა. შერჩევის კრიტერიუმებიც თავიდანვე იყო განსაზღვრული. მოხალისეობის მსურველი უნდა ყოფილიყო მოტივირებული და გამოცდილი ახალგაზრდა. მინდა, წარმატებები ვუსურვო მოხალისეთა კოორდინატორებს. მათ ეძლევათ შანსი, მიიღონ გამოცდილება, შეიძინონ ახალი მეგობრები, დაამყარონ საქმიანი კონტაქტები და რაც მთავარია მათ შეუძლიათ თავიანთი იდეების ირგვლივ რაც შეიძლება მეტი ადამიანი შემოიკრიბონ“. ბაკურიანში, ტრენინგებზე სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ვახტანგ ასანიძე იმყოფებოდა. ბატონმა ვახტანგმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ „საქართველოს მოხალისე“ მიმდინარე წელს, საპილოტე პროგრამაა, რომელშიც 134 ახალგაზრდა მონაწილეობს. იგი სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ხორციელდება და 2015 – 2020 წლებს მოიცავს. ტრენინგ–სემინარებიდან მიღებულ ცოდნას მოხალისეები მთელი წლის განმავლობაში გამოიყენებენ, რათა სხვადასხვა მოხალისეობრივი, საზოგადოებისთვის სასარგებლო და სასიკეთო საქმიანობა საკუთარი ნების საფუძველზე განახორციელონ. ბაკურიანში ბევრი მოტივირებული ახალგაზრდა გავიცანი. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ა/ო/ „ჰელფინგ ჰენდის“ მოხალისეებს თინათინ მესხსა და ნინო თოდუას. მათი მხარდაჭერით ახალგაზრდების ტრენინგ პროგრამაში ჩართულობა მაქსიმალურად აქტიური იყო. ტრენინგის მინდინარეობით კმაყოფილი ვარ. მინდა აღვნიშნო, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. შერჩეულმა ახალგაზრდებმა 8 თვის განმავლობაში უამრავი მოხალისეობრივი საქმიანობა უნდა განახორციელონ და მოხალისეობის პოპულარიზაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით შეუწყონ ხელი“.

როგორც აღვნიშნე, მოხალისეებს ტრენინგებს ა/ო/ „ჰელფინგ ჰენდის“ ტრენერები უტარებდა. თუ როგორ მიმდინარეობდა სემინარები და რა შთაბეჭდილებები დარჩათ ტრენერებს მოხალესეებზე, ამისათვის ა/ო „ჰელფინგ ჰენდის“ აღმასრულებელ დირექტორს თინათინ მესხს გავესაუბრე.

„პროგრამა საქართველოს მოხალისის განხორციელება უაღრესად მნიშვნელოვანია, პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აღიარებს მოხალისეობას და ხელს უწყობს მის პოპულარიზაციას კონკრეტული პროგრამის სახით. იგი საინტერესეოა იმითაც, რომ საქართველოს ყველა რეგიონში ხორციელდება და ამით ახალგაზრდებს აერთიანებს. მოხალისეთა კოორდინატორების როლი მოხალისეობის განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ტრენინგებმა წარმატებით ჩაიარა. ახალგაზრდებმა - მოხალისეთა კოორდინატორებმა მიიღეს ის ცოდნა და გამოცდილება, რაც მათ მომავალში დაეხმარებათ მოახდინონ თავიანთ რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ძლიერი მხარეების წარმოჩენა, დაეხმარონ მათ მოხალისეობის გზით, საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში, მოახერხონ ახალგაზდების ეფექტური ჩართულობა მოხალისეთა მოზიდვის, შერჩევის და მართვის პროცესში, დაგეგმონ და განახორციელონ მოხალისეობრივი პროექტები და დახმარება გაუწიონ თავიანთ რეგიონში სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანებს.

ვფიქრობ, ამ პროგრამას საქართველოში მცხოვრები სხვა ახალგაზრდებიც უნდა შემოუერთდნენ. ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა ყველამ ერთად, მოხალისეობის გზით საკუთარი წვლილი შევიტანოთ ჩვენი ქვეყნის განვითარებაში და საზოგადოების საკეთილდღეოდ გავერთიანდეთ.

და ბოლოს, მინდა მოვუწოდო ახალგაზრდებს „მე მოხალისე ვარ, გახდი შენც!“

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვწერეთ mokhalise@mail.ru **ან დაგვიკავშირდით ნომერზე 598 75 43 18; 597 72 22 89.**

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში შალვა შარიქაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სარაიონთაშორისო ტურნირი ჩატარდა

7 მაისს „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრში” თავისუფალ ჭიდაობაში შალვა შარიქაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სარაიონთაშორისო ტურნირი ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის, საჩხერის ,ბაღდათის, ჭიათურისა და ხაშურის ნაკრებმა გუნდებმა, სულ შეჯიბრში 180 თავისუფალი სტილით მოჭიდავე მონაწილეობდა. გამარჯვებულები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა და ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა დავით გელაშვილმა მედლებით და სიგელებით დააჯილდოვეს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და მართვის ცენტრის მოსწავლეებმა კარგად იასპარეზეს და ხუთ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავეს.

პროექტი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
დადგენილება

----მაისი 2015 წელი.

დ. ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა №15**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მაისის № 20 დადგენილებაში

,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,, ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მაისის № 20 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებ.გვერდი 07.05.2015 წ)

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,8. .მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ხელმოკლე ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომლებიც დახმარების მოთხოვნის მომენტში სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს“.

მუხლი 2. დადგენილება ძალაში სევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
დადგენილება

----მაისი 2015 წელი.

დ. ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა №15**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის № 48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის № 48 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებ.გვერდი 21.11.2014 წ)

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის პირველი მუხლის მე-5 პუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,, 5 საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნებისა, დამატებით მოეთხოვება:

ა) ბაკალავრის დიპლომი ან დამამთავრებელი უმაღლესი განათლება;
ბ)სასურვეია მუშაობის 1 წლის გამოცდილება;
გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დებულების) რეგლამენტის ცოდნა
დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების ცოდნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად გამარტივებული წესით ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ საქართველოს ორგანულის კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის 9 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული წესით ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ღორეშის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

გაზეთ ,,ახალი ხარაგაულის“ 287(14)-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, „რატომ არ მისცეს დადებითი შეფასება რესპუბლიკელებმა და კონსერვატორებმა გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშს“, გაიპარა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ფეხბურთელების კვების მიმართულებით დარღვევები გამოვლინდა ა(ა)იპ საფეხბურთო გუნდ „ჩხერიმელაში“ და არა ა(ა)იპ „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტში“.

გამომცემელი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გაზეთი ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“.
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25;
ტირაჟი 1000 ც

რედაქტორი: ეკა შავიძე
ტელ.: 595 51 98 12
სარედაქციო კოლეგია:
თეა ბერიძე
თამარ მაღრაძე

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.